<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 29[1] მუხლი:**

მუხლი 29[1] ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის ფონდი.

1. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის ფონდი, რომელიც გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით, ფონდის სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტიდან შევსება და განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც აისახება წლიურ ბიუჯეტში.

2. საქართველოს ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის ფონდის შექმნისა და საქმიანობიის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის საყოველთაო სოციალური დაზღვევის“ შესახებ.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მ. სააკაშვილი*